

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

### ლავრენტი ბიგვავას ანგარიში 2018 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

წინამდებარე ანგარიში შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 88-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2018 წლის ნოემბრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. წარმოდგენილი ანგარიში რიგითია, შესაბამისად საანგარიშო პერიოდში რიგგარეშე ანგარიშის განხილვა არ შემდგარა.

ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ვეყრდნობოდი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით საკრებულოს წევრისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს. ჩემი უფლებამოსილების განხორციელების შედეგად დამდგარი საბოლოო შედეგები (შენიშვნები, წინადადებები, რეკომენდაციები, დასკვნები) ზემოთ აღნიშნული კოდექსის მოთხოვნებთან ერთად ეფუძვნებოდა საბიუჯეტო კოდექსის, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა მოქმედი კანონების, კანონქვემდებარე პუნქტების, ნორმატიული აქტების, ინსტრუქციებისა და დებულებების მოთხოვნებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსითა და საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად საანგარიშო პერიოდში უფლებამოსილებას განხორციელებდი საკრებულოს 2 მუდმივმოქმედ კომისიაში (სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის და განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიებში) და ერთ ფრაქციაში (ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო).

სულ საანგარიშო პერიოდში 20-ჯერ მივიღე მონაწილეობა საკრებულოს როგორც რიგიან, ასევე რიგგარეშე სხდომებში, 21-ჯერ ვესწრებოდი მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომებს, 32-ჯერ ვმონაწილეობდი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომებში (როგორც საკრებულოს წევრი და ამავე კომისიის თავმჯდომარე), 29-ჯერ მივიღე მონაწილეობა განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომებზე, ხოლო აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიის სხდომებზე 20-ჯერ. 24-ჯერ მივიღე მონაწილეობა ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს სხდომებზე.

საანგარიშო პერიოდში 15-ჯერ ვმონაწილეობდი საკრებულოს თავმჯდომარის და 5-ჯერ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის მიერ მოწვეულ თათბირებში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილისა და მერიის სამსახურების მიერ მოწვეულ თათბირებსა და სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებში, სამუშაო შეხვედრებსა და კონსულტაციებში 10-ჯერ მივიღე მონაწილეობა.

10-ჯერ ვმონაწილეობდი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, რომლებიც ეძღვნებოდა მუნიციპალიტეტის ფუნქციონირების თვისობრივად გაუმჯობესების ღონისძიებების თეორიულ და პრაქტიკული უნარ-ჩვევების სწავლებას.

4-ჯერ მივიღე მონაწილეობა პარტია „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ თათბირებში, სადაც განხილული და შემუშავებული იქნა კონკრეტული რეკომენდაციები, ადგილზე თვითმმართველობის ორგანოებში პარტიული აქტივის როლის გაძლიერების მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში 37-ჯერ შევხვდი საკრებულოს წინაშე ანგალიშვალდებულ პირებს, მათ შორის : მუნიციპალიტეტის მერს - 8ჯერ, მერის მოადგილეს - 10 ჯერ, სამახურის უფროსებს - 19 ჯერ, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ პირებთან შეხვედრის საგანი იყო ძირითადად

მოსახლეობიდან შემოსული განცხადებების დაკმაყოფილების მიმდინარეობის პროცესების დაჩქარება და შესაძლებლობის ფარგლებში გადაწყვეტა. (საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ პირებთან შეხვედრის დროს დაკმაყოფილდა 63 მოქალაქის მოთხოვნა, არ დაკმაყოფილდა 14-ის , ხოლო სხვა უწყებებში შუამდგომლობა გაეწია 11 მოქალაქეს.

საანგარიშო პერიოდში კითხვით ერთჯერ მივმართე მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც ეხებოდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების მოწესრიგების და გარე ვაჭრობის რეგულაციების წესების, შემუშავების, საკრებულოში წარმოდგენის ვადების დაზუსტებას. მერიის შესაბამისმა სამსახურმა უპასუხა ჩვენს შეკითხვას, მაგრამ გარკვეული პერიოდის დაგვიანებით. საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ფარგლებში აქტიურად ვმონაწილეობდი:

- 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის პროცესში;
- დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და გადახდის ინსტრუქციის ცალკეული მუხლების დაზუსტებაში;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში, სკვერში ან პლაჟზე წვრილფეხა ან/და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოლის წესების პროექტის მომზადებაში;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შინაური ცხოველების - ძაღლის და კატის ყოლის წესის პროექტის დაზუსტებაში;
- კურიორტ გომისმთის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის პროექტის დასამტკიცებლად დაკავშირებული ღონისძიებების შემუშავებაში;
- ა(ა)იპ -ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების ცენტრის“ დებულების ცალკეული მუხლების დაზუსტებაში;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის განსახორციელებლად გათვალისწინებული თანხების განკარგვის წესის კორექტირებასა და დაზუსტებაში;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების ცალკეული მუხლების დაზუსტებაში;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე განათების რეგულირების წესის პროექტში ცვლილებების შეტანის შესახებ შესაბამისი დასკვნის მომზადებაში;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბინადარი შინაური ცხოველების (ძაღლი, კატა, და სხვა კომპანიონი ცხოველები) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციის მართვის წესის“- პროექტზე შენიშვნების და რეკომენდაციების შემუშავებაში.
- ქალაქ ოზურგეთში, ერისთავის ქუჩაზე საგზაო ნიშნის განთავსების ორგანიზების შესახებ შესაბამისი განკარგულების მომზადების პროცესში.
- მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტზე და 2018 წლის კვარტალური ბიუჯეტის ანგარიშებზე დასკვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადებაში.
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ინიცირებულ თითქმის ყველა პროექტზე მქონდა კონკრეტული შენიშვნები, წინადადებები და რეკომენდაციები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის, დაახლოებით 90-ზე მეტის გათვალისწინება ხდებოდა და აისახებოდა შესაბამის პროექტში. გვაქვას გამონაკლისი მაგ: მუნიციპალიტეტის მერიამ დღემდე ვერ წარმოადგინა გარე ვაჭრობის რეგულირების პროექტის გადამუშავებული ვარიანტი, რომელიც გარკვეული შენიშვნებით დაუბრუნდა მას.
- ადილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონის მოთხოვნისა და საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად საკრებულოს მიერ დამტკიცებული გეგმა-გრაფიკის შესაბამისად საანგარიშო პერიოდში შევხვდი 700-ზე მეტ მოქალაქეს, შენიშვნები,

წინადადებები და რეკომენდაციები, რომელიც დაფიქსირდა ამომრჩევლებთან შეხვედრის დროს ძირითადად ასეთია:

- სასმელი წყლით უზრუნველყოფის ღონისძიებების გატარება;
- გზების რეაბილიტაცია;
- საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგება;
- საცხოვრებელი სახლების (კორპუსების) მოპირკეტების სამუშაოების შესრულება;
- საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება და აღდგენა;
- სპორტული ობიექტების მოწყობა (მინი სტადიონი, კალათბურთის მოედანი);
- სასაფლაოსთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია;
- გარე განათების ქსელის გაფართოება;
- დასუფთავების პროექტების ეფექტიანი მართვა და სხვა;

ამომრჩევლებიდან საანგარიშო პერიოდში მიღებული წერილების, წინადადებების და საჩივრების რაოდენობამ სულ შეადგინა 22 ერთეული, მიმდინარე პერიოდისთვის 19 წერილისთვის გაცემულია პასუხი, 3 ამომრჩეველთან მქონდა სატელეფონო კომუნიკაცია. აღნიშნული რაოდენობის კორესპოდენციის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიის მიერ:

- მოწესრიგდა ორი ერთეული საკანალიზაციო ქსელი;
- დაიხურა 2 საცხოვრებელი სახლი;
- მოიხრეშა სატრანსპორტო გზა, სულ 300გრ/მ;
- შეკეთდა წყალმომარაგების ქსელი -4ჯერ;
- ტექნიკური დახმარება გაეწია დენდროლოგიური პარკის მოწყობას;
- მოეწყო 5 ერთეული გარე განათების სისტემა;
- მოსახლეობას მიეწოდა 12 კუბური მეტრი შეშა;
- დარღვევების გამო ერთერთ კარიერზე გარკვეული ვადით შეჩერდა ქვიშა-ხრემის მოპოვების სამუშაოები;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატის დახმარებით მომზადდა ანასეულის დასახლების წყალმომარაგების პროექტი.

საანგარიშო

პერიოდში არ დამირღვევია საქართველოს კონსტიტუციის არც ერთი მუხლი, ვიცავდი საკრებულოს რეგლამენტს და შინაგანაწეს განსაზღვრული მოთხოვნებით.

საკრებულოს წევრი ლავრენტი ბიგვავა

18.01.2019 წ.